



საქართველოს პრემიერ-მინისტრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№18 2015 წლის 20 იანვარი ქ. თბილისი


საქართველოს მინისტრებისათვის (სახელმწიფო  
მინისტრებისათვის) დანამატის დაწესების შესახებ

1. „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის N54 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მინისტრებს (სახელმწიფო მინისტრებს) საფინანსო წლის განმავლობაში დაუწესდეთ დანამატი თითოეულს თვეში 2710 (ორი ათას შვიდას ათი) ლარის ოდენობით.
2. ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული თანხა გაიცეს შესაბამისი უწყებების მიერ მათთვის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს მინისტრებისათვის (სახელმწიფო მინისტრებისათვის) დანამატის დაწესების

503/01 2801 2015

შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 21 იანვრის N18 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია 2015 წლის 1 იანვრიდან.



ირაკლი ღარიბაშვილი